

დადგენილება №___

2017 წლის -- -----

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე, 43-ე და 43' მუხლების საფუძველზე საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175, მუხ. 1791, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) – ---- თეთრი/კვტსთ.“;

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

კომისიის თავმჯდომარე

ირინა მილორავა

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე